22100111

International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A1 – STANDARD LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A1 – NIVEAU MOYEN – ÉPREUVE 1
GEORGIANO A1 – NIVEL MEDIO – PRUEBA 1

Thursday 13 May 2010 (afternoon)
Jeudi 13 mai 2010 (après-midi)
Jueves 13 de mayo de 2010 (tarde)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a commentary on one passage only. It is not compulsory for you to respond directly to the guiding questions provided. However, you may use them if you wish.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez un commentaire sur un seul des passages. Le commentaire ne doit pas nécessairement répondre aux questions d'orientation fournies. Vous pouvez toutefois les utiliser si vous le désirez.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario sobre un solo fragmento. No es obligatorio responder directamente a las preguntas que se ofrecen a modo de guía. Sin embargo, puede usarlas si lo desea.

© International Baccalaureate Organization 2010

https://xtremepape.rs/

დაწერეთ ერთ-ერთი ტექსტის კომენტარი:

1.

ხათუთას სიტყვა „თანასწორობაც“ კი არ გაუგია. იგი თავისთავად ჩასახლდა ჩვენს ოჯახში და კუთხით-კუთხემდე გასტენა ჩვენი ბინა, სისხლი და გონება.

– ღმერთმა გიშველოს, – ხშირად მლოცავს დეიდა მაიკო, – უშვილო ვიყავი და მიშოვნე. საქმეს მშიერი მგელივით მტაცებს ხელიდან, ქაა!

ზოგჯერ თეატრში ან კინოში ასაღელვებელს ან გასაოცებელს რომ დაინახავს, ან გაიგონებს, ვედარ მოითმენს და ხმამაღლა იძახის: „აბაიმე!“ და ამ დროს ახალგაზრდა ჯურხა მაგონდება.

– სტუმარი ხთის მაგზავნილი ას, – ეუბნება სტუმრებს და ისე უხვდება, როგორც საკუთარ მშობლებს.

დედაკაცი მაინც დედაკაცია. ფერუმარილი და ნელსაცხებელი რომ ვაჩუქე, სიხარულით დამახრჩო და კინაღამ სარკე გასცვითა. შეგერგოს, ხათუთი, შეგერგოს, თუმცა ღმერთია მოწამე, რომ მე ისევ შენი ტანის სუნი – ფიჭვისა და მუშკის სუნი მირჩევნიან. ჩემი თვალის გემოსთვის ახალნაირად იღებავს თმას. მაიკოსგან ინის ხმარება ისწავლა და სპილენძის ფერი დაიბრუნა. მუხლებამდე ჩაყრილი დალალების მაგიერ ეხლა ვეება ბულულა ადევს თავზე, როცა ღამით თმას ჩაიშლის, მოწითალო ნაბადში გახვეული ალქაჯი მელანდება. გაზაფხულისთვის მეორე შვილს მიმზადებს.

– ხომ არ გეშინია, ხათუთი?

– აბაიმე! ცუცქნაი ხო არა ვარ! რაისი უნდა მეშინოდეს! – მამშვიდებს ხევსური და ეხლა უფრო რუბენსის დედაკაცს მაგონებს, ვიდრე ანჩის ღვთისმშობელს.

ხათუთას უკვე მთელი ქალაქი იცნობს. საკვირველია, ასე მალე როგორ შეითვისა ჩვენებური იერი. ისე კოხტად დააქვს ევროპული ტანისამოსი და თავის განთქმული მშვენებანი, რომ აქაური მზეთუნახავებიც კი შურით იხერხებიან.

ჩვენ ოჯახში ბუზსაც არ შემოუშვებს; ყოველ დღე აბაზანაში ჭყუმპალაობს და გულმოდგინედ სვამს განათლების სურას. მხოლოდ არითმეტიკა ვერ დასძლია და ჯერჯერობით სუფთა ქართულსაც ვერ მოერია.

ეხლაც მესმის მეორე ოთახიდან მაიკოს გაკვეთილი:

– ორმოცს რომ სამოცი მიუმატოთ, რამდენი იქნება?

– ბევრი, ძალიან ბევრი იქნების, – ოხვრით უპასუხებს ხათუთა და გაქცევის საბაბს ჰპოულობს: – ნოდარს უნდა ძუძუ ვაწოვა, თორე იტირებს.

– ნოდარს ძინავს, ქალო, ნუ გააღვიძებ. მითხარი რამდენი იქნება-მეთქი?

– აბაიმე! აკი გითხარი, ბევრი იქნების მეთქი, ძალიან ბევრი.

მაიკო უკბილო პირით ხითხითებს. მე ძლივს ვიმაგრებ ხარხარს. მეშინიან არ ეწყინოს ხათუთას. მაინც ხევსურია! მართლა, ნეტა ეხლა ჯურხაანთ-კარში რა ამბავია?

მგელიკას სახლში ქონის ჭრაქი ბჟუტავს. ნანუკა, იამზე და მზექალა ხინკალს ამზადებენ და ლუდს ხარშავენ. ხვალ უქმეა. მგელიკა და თოთია ყავლ-გასული ცხენებივით დაფარფატებენ. რომელიმე წიკლაურის სახლში ხევსურები ღრეობენ.

https://xtremepape.rs/

ტაშფანდურს უკრავენ და ფარსმან მეფის, ზურაბ ერისთავისა და მამუკა ალუდაურის ლანდებს დასდევენ. ჯურხა სამფეხაზე ზის, ყალივანს აბოლებს და ბუხარში იწიტება. „მავოს!!“ – ბუხუნებს ჩემი ძმადნაფიცი. „იგვირგვინებს!“ – უბეჭდავენ ხევსურები. „მკვდრეთით აღსდგების თამარ ნეფეი!“ ყოში ხელით ხელში გადადის. ჭერხოდან ცალთვალა დევი იჭყიტება. ტყეში ოჩოპინტრე დასეირნობს. ხევში მაძახურა იძახის. სადღაც ტურა სჩხავის. სოფელში ძაღლები ჰყმუიან. იყავით მშვიდობით, ხევსურებო! გწყალობდესთ გუდანის ჯვარი, გწყალობდესთ! მშვიდობით!

მიხეილ ჯავახიშვილი „თეთრი საყელო“ (1926)

– იმსჯელეთ, რა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს ავტორი ხათუთას სახის წარმოსაჩენად.

– იმსჯელეთ, როგორ იხატება მთხრობლის სახე ამ ეპიზოდში.

– იმსჯელეთ რა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებით უპირისპირდება ურბანისტულ გარემოს ხევსურეთის მითიური რეალობა.

https://xtremepape.rs/

2.

„რისთვის მიწოდებ მე შენ პოეტად?
გეტყვი: რასაც მწერ, მწერ მეტსა მეტად!
არ ვარ პოეტი; ნიჭი მაღალი
ჩემს თავზედ მადლით არ გარდმოსულა,
5 და ჩემს გულ-სულში ცით ნაპერწკალი
პოეზიისა არ აღგზნებულა.
არ ვარ პოეტი; წყობილის რითმით
დამშვრალს კაცის თვალს ვერ მოვგვრი ცრემლსა,
ლექსით ცხოველით, ძლიერით, მდიდრით
10 ვერ ავაღელვებ, ვერ აღვძვრავ ერსა!
ეტლისგან დევნილს, სულით დავრდომილს
სულს ვერ აღვუდგენ, ვერ მივსცემ სიმხნეს,
და ბოროტზედა კაცსა დაყრდნობილს
ვერ დავსცემ ზარსა, ვერ მივსცემ სიბრძნეს!
15 მდიდარ-ანგართა, სოფლის მაღალთა
ჭეშმარიტებას ციურს ვერ ვამხელ
და დაბრმავებულთ და მძინართ თვალთა
მგრვგინავის ლექსით მე ვერ ავუხელ!
მშვენიერს, ტურფას, კეკლუცს ასულსა
20 ჩემის ჩანგითა ვერ ჩავაფიქრებ
და მელოდიით იმის ნაზს გულსა
ვერ მივცემ ლმობას, ვერ ავატირებ!
არ ვარ პოეტი: იქ მაღლა ცაში
აზრით მფრინავი ვერ აღვეწევი
25 და იმის წმინდა, ტურფა ლაჟვარდში
ვარსკვლავთ, მთოვარეს, მზეს ვერ ვეწევი!
საკმაო არის, რა გითხრა მეტი?
ვარ, ვით სხვა კაცი; არ ვარ პოეტი!
მხოლოდ მიკრულსა ამ წუთს სოფელსა
30 მიყვარს ვუმზირო დღე ცას ნათელსა;
განთიადს – რიჟრაჟს და ტურფა მთიებს,
ღამე ბრწყინავთა ცაში ვარსკვლავებს.“

ვახტანგ ორბელიანი „ბაქარ ქართელს“ (1883)

– განსაზღვრეთ ლექსის თემა და იმსჯელეთ ავტორის მთავარი სათქმელის შესახებ.

– იმსჯელეთ, როგორ იყენებს ავტორი მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს თავისი სათქმელის გამოსახატავად.

– რა შეგიძლიათ თქვათ იმ სავარაუდო რეაქციის შესახებ, რომელსაც ავტორი მკითხველისაგან ელის?

https://xtremepape.rs/